ისწავლე კითხვა
საფეხური 5

მზეთუნახავი და ურჩხული

ილუსტრატორი
ალეხანდრო ოკიფი

სულაკაურის
გამომცემლობა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი ვაჭარი, რომელიც ზღვის პირას დიდ, თეთრ სახლში ცხოვრობდა.

კაცს სამი ვაჟი და სამი ასული ჰყავდა.

ქალიშვილები ერთმანეთზე ლამაზები იყვნენ, მაგრამ მათ შორის ყველაზე მშვენიერი ნაბოლარა და გახლდათ, რომელსაც „მზეთუნახავი“ შეარქვეს.

მზეთუნახავი ბევრს კითხულობდა და ჭკუა-გონებითაც გამოირჩეოდა; ამიტომ დებს შურდათ მისი და ხშირად აბუჩად იგდებდნენ.

ერთ დღეს ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა და სავაჭროდ დატვირთული გემები ერთიანად გაანადგურა. გაღატაკებული ვაჭარი იძულებული გახდა, სოფელში გადასულიყო საცხოვრებლად.

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ამიერიდან სოფელში ვიცხოვრებთ და ვიმუშავებთ! – უთხრა მან შვილებს.

– ამ ქოხში როგორ ვიცხოვრებთ ან მუშაობისა რა გაგვეგება?! – გაწიწმატდნენ უფროსი დები.

ნაბოლარას კი შეეცოდა მამა და მის გასამხნევებლად მაშინვე საქმეს შეუდგა.

მზეთუნახავი მამასა და ძმებს თავდაუზოგავად ეხმარებოდა, უფროს დებს კი შუადღემდე ეძინათ, ზლაზვნით იღვიძებდნენ და დაძინებამდე დღეს მორთვა-მოკაზმვაში ატარებდნენ. დროდადრო მზეთუნახავსაც დაუცაცხანებდნენ ხოლმე:

– საშინელ სიღარიბესა და მოწყენილობაში ვცხოვრობთ, შენ კი დადიხარ და ღიღინებ. რა გამღერებს?! ნამდვილი სულელი ხარ!

ერთ დღეს მამამ წერილი მიიღო და შვილებს ახარა:

– ჩემი გემებიდან ერთ-ერთი გადარჩენილა. ნავსადგურში უნდა წავიდე.

– მამა, როგორც კი ფული გექნება, ახალ კაბებს ხომ გვიყიდი? – შეუჩნდნენ უფროსი დები.

ვაჭარი ნაბოლარა ქალიშვილს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– შენ რას დამაბარებ, ჩემო მზეთუნახავო?

დებმა ჩაიქირქილეს, მაგრამ მზეთუნახავმა არაფერი შეიმჩნია და მამას სთხოვა:

– მხოლოდ ერთი ვარდი ჩამომიტანე.

ვაჭარი გაემგზავრა, ნავსადგურში მისულს კი გემი გაძარცვული და დაზიანებული დახვდა.

სასოწარკვეთილი კაცი შინისაკენ გაეშურა.

გზად ქალიშვილები გაახსენდა და ჯიბე მოიჩხრიკა.

„კაბებს ვერა, მაგრამ მცირე საჩუქრებს მაინც ვიყიდი“, – გაიფიქრა ვაჭარმა და უფროს ქალიშვილებს ლამაზი ქისები უყიდა, ნაბოლარასთვის კი მეყვავილე გოგოს ვარდი სთხოვა.

– სამწუხაროდ, დღეს ვარდებს არ ვყიდი, – მიუგო გოგონამ.

დანაღვლიანებულმა ვაჭარმა გადაწყვიტა, გზა შეემოკლებინა და ტყეში შევიდა. უცებ ქარი ამოვარდა და ციდან თოვლის ფანტელები წამოვიდა. ბილიკი ნისლში ჩაიკარგა. შორიდან მგლების ყმუილი მოისმა.

შეშინებულმა ვაჭარმა ხეებს შორის სინათლე შენიშნა და გაოცებულმა ჩაილაპარაკა:

– ნუთუ სახლია შუაგულ ტყეში?!

მერე ცხენიდან ჩამოხტა და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა სინათლისაკენ.